



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 92223637

თარიღი:29/12/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისა და ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის საწვავის გამოყოფისა და ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი1.გამოიყოს საწვავი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისათვის დანართი N1-ით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი2.გამოიყოს საწვავი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის დანართი N2-ით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი3.მეორე მუხლით გამოყოფილი საწვავის გამოყენება მოხდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იმ ავტომანქანებზე, რომლებსაც ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები /საწვავით მოსარგებლეები/ ძირითადად გამოიყენებენ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი4.საწვავის ხარჯის დასადასტურებლად, საწვავით მოსარგებლეებმა წარმოადგინონ შესაბამისი საწვავის ჩამოწერის აქტი, რომელიც დადასტურებული იქნება პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ხელმოწერით ან სხვა დოკუმენტით, რომელიც დაადასტურებს საწვავის ხარჯის სინამდვილეს. აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მის წარმომდგენ პირს.

მუხლი5.ბრძანების მოქმედება განისაზღვროს 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი6.კონტროლი, საწვავით მოსარგებლეებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, საწვავის ხარჯის ჩამოწერაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "საფინანსო სამსახურს".

მუხლი7.ბრძანება ძალაში შედის 2023 წლის 01 იანვრიდან.

მუხლი8.ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 30 დეკემბრის Nბ92.92213641 ბრძანება "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისა და ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის საწვავის გამოყოფისა და ლიმიტის განსაზღვრის შესახებ".

მუხლი9.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

გამოყენებულია კვალიფიციური

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

